# შპს „შალვინო“

# ფინანსური ანგარიშგება

# 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ........................................................................................................3

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ...........................................................................4

ფულადი სახსრებისა და ფულადი ექვივალენტების მოძრაობის ანგარიშგება………………………………5

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ..............................................................................................6

1. ზოგადი ინფორმაცია .........................................................................................................................................7

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა .........................................................................................................7

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები ...........................................................................14

4. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები...........................................................................................15

5. ძირითადი საშუალებები ...................................................................................................................................16

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები..........................................................................16

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .........................................................................................................................17

8. სესხები ................................................................................................................................................................17

9. ამონაგები ............................................................................................................................................................19

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები .....................................................................................................19

11. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო .............................................................................................................20

12. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები .....................................................................................................20

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | | 12/31/2022 | 12/31/2021 | 12/31/2020 |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| ძირითადი საშუალებები | **1** | 1,774,683 | 2,168,042 | 2,089,392 |
| საინვესტიციო ქონება | | - | - | - |
| ბიოლოგიური აქტივი | | 62,267 | 72,734 | 89,333 |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში | | - | - | - |
| | | **1,836,949** | **2,240,777** | **2,178,725** |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | | | |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | **2** | 130,314 | 7,450 | 445,402 |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | **3** | 3,240,464 | 3,594,186 | 4,858,719 |
| მარაგები | | 14,736,503 | 12,571,972 | 8,617,139 |
| მისაღები დივიდენდები და პროცენტები | | - | - | - |
| | | **18,107,281** | **16,173,607** | **13,921,260** |
| **მთლიანი აქტივები** | | **19,944,231** | **18,414,384** | **16,099,985** |
| | | | | |
| **მთლიანი კაპიტალი** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 1,269,653 | 1,269,653 | 1,269,653 |
| გადაფასების რეზერვი | | - | - | - |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | | 7,916,719 | 4,581,727 | 4,427,487 |
| | | **9,186,371** | **5,851,380** | **5,697,139** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | | |
| გრძელვადიანი სესხები | **4** | 2,353,030 | 5,990,265 | 3,961,040 |
| ანარიცხები | | - | - | - |
| გადავადებული შემოსავალი | | - | - | - |
| | | **2,353,030** | **5,990,265** | **3,961,040** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | | |
| მოკლევადიანი სესხები | **4** | 3,634,421 | 1,370,345 | 2,659,555 |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | **6** | 4,688,096 | 5,055,291 | 3,782,251 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | 82,313 | 147,103 | - |
| გადასახდელი პროცენტი | | - | - | - |
| გადასახდელი დივიდენდი | | - | - | - |
| | | **8,404,830** | **6,572,738** | **6,441,806** |
| **მთლიანი ვალდებულებები** | | **10,757,860** | **12,563,004** | **10,402,846** |
| **მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები** | | **19,944,231** | **18,414,384** | **16,099,985** |

## მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | | 2022 | 2021 |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 5 | 7,779,368 | 6,682,488 |
| თვითღირებულება | | (3,330,986) | (4,143,720) |
| **საერთო მოგება** | | **4,448,382** | **2,538,768** |
| სხვა შემოსავლები | 6 | - | - |
| ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი | | (1,144,344) | (2,227,286) |
| მიწოდების დანახარჯები | | (34,944) | (10,447) |
| სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა | | - | - |
| სხვა ხარჯები | | - | - |
| **საოპერაციო მოგება** | | **3,269,094** | **301,035** |
| ფინანსური შემოსავალი | 7 | 932,941 | 790,306 |
| ფინანსური ხარჯი | 7,8 | (867,044) | (937,101) |
| ფინანსური ხარჯი - წმინდა | | **65,898** | **(146,795)** |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **3,334,991** | **154,241** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | - | - |
| **წმინდა მოგება** | | **3,334,991** | **154,241** |
| **სხვა სრული შემოსავალი:** | | | |
| შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით | | - | - |
| **მთლიანი სრული შემოსავალი** | | **3,334,991** | **154,241** |

## ფულადი სახსრებისა და ფულადი  ექვივალენტების მოძრაობის ანგარიშგება

| **პერიოდი:** | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| **საოპერაციო საქმიანობა** | | |
| კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები | 9314731.15 | 7628140.59 |
| მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები | (5236662.34) | (7276360.69) |
| დასაქმებულებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები | (423243.52) | (968472.95) |
| სხვა საოპერაციო საქმიანობაზე გადახდილი ფულადი სახსრები | (2622964.59) | (89829.40) |
| **წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | **1031860.70** | **(706522.45)** |

| **საინვესტიციო საქმიანობა** | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (33175.83) | (574158.87) |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | 0.00 | 0.00 |
| მიღებული სახელმწიფო გრანტები | 0.00 | 0.00 |
| მიღებული პროცენტები | 0.00 | 0.00 |
| მიღებული დივიდენდები | 0.00 | 0.00 |
| | 0.00 | 0.00 |
| **წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | **(33175.83)** | **(574158.87)** |

| **საფინანსო საქმიანობა** | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| სესხის აღება/დაფარვა | (1398577.43) | 431755.48 |
| მიღებული სუბსიდიები, დახმარება | 522757.03 | 410973.44 |
| შემოსულობა აქციათა ემისიის შედეგად | 0.00 | 0.00 |
| ფინანსური იჯარის ვალდებულების დაფარვა | 0.00 | 0.00 |
| გადახდილი დივიდენდები | 0.00 | 0.00 |
| **წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან** | **(875820.40)** | **842728.92** |

| | | |
|---|---|---|
| **ფულადი სახსრებისა და ფულადი   ექვივალენტების პერიოდის ცვლილება** | **122864.47** | **(437952.40)** |
| **ფულადი სახსრებისა და ფულადი   ექვივალენტების პერიოდის დასაწყისში** | **7449.69** | **445402.09** |
| **ფულის და ფულის ექვივალენტების პერიოდის ბოლოს** | **130,314.16** | **7,449.69** |

## <u>საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება</u>

| | საწესდებო კაპიტალი | გადაფასების რეზერვი | გაუნაწილებელი მოგება | მთლიანი კაპიტალი |
|---|---|---|---|---|
| **2021 წლის 1 იანვარი** | **1,269,653** | **-** | **4,427,487** | **5,697,139** |
| წმინდა მოგება | | | 301,035 | **301,035** |
| სხვა სრული შემოსავალი | | | (146,795) | **(146,795)** |
| პერიოდის სრული შემოსავალი | - | - | 154,241 | **154,241** |
| გაცემული დივიდენდი | - | - | - | **-** |
| **2021 წლის 31 დეკემბერი** | **1,269,653** | **-** | **4,581,727** | **5,851,380** |
| წმინდა მოგება | - | - | 3,269,094 | **3,269,094** |
| სხვა სრული შემოსავალი | - | - | 65,898 | **65,898** |
| პერიოდის სრული შემოსავალი | - | - | 3,334,991 | **3,334,991** |
| გაცემული დივიდენდი | - | - | | **-** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | - | - | - | **-** |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | **1,269,653** | **-** | **7,916,719** | **9,186,371** |

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს შალვინო (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2008 წლის 25 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ., კორ. 1, ბ. 10. კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, გურჯაანი, სოფელი კარდენახი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის მფლობელები არიან:
შალვა გვარამაძე პ/ნ 01009001054 - 60 %
ლევან გვარამაძე პ/ნ 01009000013 – 40%
წარმომადგენლობითი უფლებით აღჭურვილი პირია დირექტორი დავით ლეგაშვილი პირადი ნომრით 20001018773.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ყურძნისგან ღვინის წარმოება და მისი რეალიზაცია ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე. კომპანია საქმიანობას ახორციელებს სოფლის მეურნეობის სააგენტოს თანადაფინანსების პირობებში.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

### მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

### შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და

გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

**- პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები**

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

**- მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები**

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;

- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

**სხვა შემოსავალი**

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

**ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების

ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

**მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

**სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

**ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

**უცხოური ვალუტა**

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა

და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულებით მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი მოგება და ზარალი წარმოდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრულ შემოსავლების ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

| | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|
| 1 USD/GEL | 2.7020 | 3.0976 |
| 1 EUR/GEL | 2.8844 | 3.5040 |

**მოთხოვნები**

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;

ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

**სასარგებლო მომსახურების ვადები**

| | |
|---|---|
| შენობება-ნაგებობები | 5-20 |
| ბიოლოგიური აქტივები | 10 |
| მანქანა-დანადგარები | 2-13 |
| სხვა | 2-13 |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 5 |
| ავტომობილები | 5 |

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ცვეთის მეთოდი: წრფივი

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერსპექტიულ საფუძველზე.

**არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

**მარაგები**

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ,

იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

**მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება**

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

**ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით.

შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები.

მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია; (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

სასესხო ვალდებულებეზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

**საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

**დივიდენდი**

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

**ხელფასები**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

**იჯარა**

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

**დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები**

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანაგრიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 33-ე განყოფილების შესაბამისად, მხარეები განიხილება როგორც დაკავშირებული, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებაში.

თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების განსაზღვრისას, ყურადღება გამახვილებულია არა მარტო იურიდიულ ფორმაზე, არამედ ამ ურთიერთობის შინაარსზეც.

**საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, აისახება ახსნა-განარტებით შენიშვნებში.

**ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

კომპანია ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელია რესურსების გადინება და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. პირობითი ვალდებულებები აისახება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობით აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. ის აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ

მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

### 3.1 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

### 3.2 საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურები რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორებისგან თანხების ამოღება. აღნიშნული რეზერვის შეფასებისას კომპანის ხელმძღვანელობა ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ დებიტორს და განიხილავს მის გადახდისთვის მზაობას.

### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომმა მნიშვნელოვანი გავლება იქონია კომპანიის შემოსავლებზე. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ კომპანიის ძირითადი მომხმარებლები რუსეთის ფედერაციაში არიან, ომის დაწყების შემდეგ მნიშნელოვნად შემცირდა არსებული კლიენტების მოთხოვნა კომპანიის მიერ წარმოებულ ღვინოზე და შესაბამისად იკლო შემოსავლებმაც. ხელმძღვანელობის აქტიური ჩართულობით 2023 წლის მეორე ნახევარში დაწყო მოლაპარაკებები ახალ კლიენტებთან ევროპის სხვა ქვეყნებიდან და ასევე უკვე არსებულ ბაზარზე, რუსეთში, ახალი კლიენტების მოძიება. ხელმძღვანელობა ვარაუდობს მომდევნო წლებში შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდას.

***შენიშვნა 1***
**ძირითადი საშუალებები**

| | მიწის ნაკვეთები | შენობები | მანქანა-დანადგარები | სატრანსპორტო საშუალებები | ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | სხვა | არამატერილაური აქტივები | ჯამი: |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2020** | **109,671** | **867,076** | **473,889** | **48,387** | **69,044** | **519,040** | **2,286** | 2,089,392 |
| შემოსვლა | 0 | 48469.67 | 85220.59 | 18390 | 3450.84 | 427567.97 | 0 | 583,099 |
| გასვლა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| პერიოდის ცვეთა | 0 | 47492.13 | 139854.45 | 12233.51 | 17667.26 | 286725.73 | 475.99 | 504,449 |
| გაუფასურება/აფასება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| **31 დეკემბერი 2021** | **109,671** | **868,054** | **419,255** | **54,543** | **54,828** | **659,882** | **1,810** | 2,168,042 |
| შემოსვლა | 0 | 0 | 18517.35 | 0 | 421.19 | 14237.29 | 0 | 33175.83 |
| გასვლა | 0 | 0 | 0 | 8940.2 | 0 | 0 | 0 | 8940.2 |
| პერიოდის ცვეთა | 0 | 44912.39 | 121788.71 | 5726.52 | 16969.41 | 227730.61 | 467.66 | 417595.3 |
| გაუფასურება/აფასება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | **0** | 0 | 0 |
| **31 დეკემბერი 2022** | **109,671** | **823,141** | **315,983** | **39,877** | **38,280** | **446,389** | **1,342** | **1,774,683** |

კომპანიის მიერ 2022 წელს ძირითადი საშუალებების შეძენები მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინა წლის მონაცემებს. 2022 წელს ძირითადი საშუალებების ცვეთა და გასვლა 13-ჯერ აღემატება შეძენებს.

***შენიშვნა 2***
**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები**

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | - | - |
| ეროვნული ვალუტა ბანკში | **8,884** | **7,433** |
| უცხოური ვალუტა ბანკში | **121,430** | **16** |
| **სულ** | **130,314** | **7,450** |

2022 წელს ფულადი სახსრების მდგომარეობა წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია.

***შენიშვნა 3***
**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო | **2,128,100** | **4,154,694** |
| გადახდილი ავანსები | **153,004** | **120,683** |
| სხვა მოთხოვნები | **959,360** | **(681,191)** |
| დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი | **-** | **-** |
| **სულ** | **3,240,464** | **3,594,186** |

მიმდინარე პერიოდში კომპანიის მიერ დებიტორებზე გაცემულმა დებიტ ნოტებმა და ფასდათმობამ შეადგინა 746.27 ლარი, ხოლო 2021 წელში 556880.85 ლარი. 2022 წელში ჩამოწერილმა უიმედო დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 10965.21 ლარი.

***შენიშვნა 4***
***სესხები***

| დასახელება | სესხის ვალუტა | ნაშთი ვალუტაში 31/12/2022 | ნაშთი 31/12/2022 ექვივალენტით ლარში | საპროცენტო განაკვეთი | დაფარვის ვადა | გადახდის გრაფიკი | მათ შორის ვადაგადაცილებული ექვივალენტით ლარში | 2023 წელში დასაფარი სასესხო ვალდებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბანკის სესხი მოკლევადიანი | | | | | | | | |
| სს თიბისი ბანკი 2498176-8887724 | GEL | | 75,875.49 | 13.50% | 20/01/2023 | ერთჯერადი 75875.49 ლარი | 75,875.49 | 75,875.49 |
| სს თიბისი ბანკი 2498176-10036550 | GEL | | 28429.91 | 13.50% | 22/11/2023 | ყოველთვიურად 2584.54ლარი | 0.00 | 28429.91 |
| სს თიბისი ბანკი 2498176-11078340 | GEL | | 598813.9 | 17.00% | 15/08/2023 | ყოველთვიურად 74851.74 ლარი | 48,325.11 | 598813.9 |
| სს თიბისი ბანკი 2498176-11936639 | GEL | | 107300.14 | 13.50% | 15/08/2023 | ყოველთვიურად 13412.52 ლარი | 3839.23 | 107300.14 |
| ბანკის სესხი გრძელვადიანი | | | | | | | | |
| სს თიბისი ბანკი | USD | 93,440.93 | 252477.39 | 9.11% | 22/08/2026 | ყოველთვიურად 1873 აშშ დოლარი | 0.00 | 60730.152 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2498176-10403396 | | | | | | | | |
| სს თიბისი ბანკი 2498176-10780846 | EUR | 21,256.38 | 61311.9 | 8.49% | 20/04/2025 | ყოველთვიურად 716.66 ევრო | 0.00 | 24805.60925 |
| სს თიბისი ბანკი 2498176-10898087 | USD | 424820.66 | 1147865.42 | 8.68% | 25/11/2024 | ყოველთვიურად 17469.96 აშშ დოლარი | 74122.615 | 566445.983 |
| სს თიბისი ბანკი 2498176-11078260 | GEL | | 379297.15 | 17.00% | 15/11/2024 | ყოველთვიურად 14631.01 ლარი | 3,532.21 | 175572.12 |
| სს თიბისი ბანკი 2498176-11078806 | GEL | | 255,482.21 | 17.00% | 03/09/2027 | ყოველთვიურად 3285.89 ლარი | 0.00 | 39430.68 |
| სს თიბისი ბანკი 2498176-11314478 | GEL | | 472517.13 | 17.00% | 20/02/2025 | ყოველთვიურად 15647.82 ლარი | 16,285.80 | 187773.84 |
| სს თიბისი ბანკი 2498176-11563630 | GEL | | 2000000 | 14.50% | 15/05/2024 | ყოველთვიურად 112194.94 ლარი | 0 | 1346339.28 |
| სს თიბისი ბანკი 2498176-11606480 | GEL | | 500,000.00 | 14.50% | 15/06/2024 | ყოველთვიურად 26235.31 ლარი | 0 | 314823.72 |
| სხვა სესხი | | | | | | | | |
| ZHURAVLEV GENNADIY VASILEVICH | USD | 40000 | 108,080.00 | 2.20% | 7/9/2023 | ხელშეკრულების ვადის ბოლოს | 0 | 108,080.00 |
| სულ ნასესხები სახსრები | | | 5,987,450.64 | | | | 221,980.46 | 3,634,420.82 |

კომპანიამ 2021 წელთან შედარებით 2022 წელს სასესხო ვალდებულები მცირედით შეამცირა.

სხვა ფიზიკური პირებისგან და კომპანიებისგან ნასესხები ფულადი სახსრები 2023 წელს სრულად იქნა დაფარული.

საბანკო სესხები 2023 წელს სრულად იქნა დაფარული და აღებულ იქნა ახალი სესხი 2,350,000 ევროს ოდენობით.

***შენიშვნა 5***

**ამონაგები**

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| საქონლის გაყიდვა | 7,547,787 | 6,342,607 |
| მომსახურების გაწევა | 231,581 | 339,881 |
| **სულ** | **7,779,368** | **6,682,488** |

კომპანიის საქმიანობას პროდუქციის რეალიზაციის გარდა წარმოადგენს ღვინის ჩამოსხმის და ყურძნის გადამუშავების მომსახურება. აღნიშნული შემოსავლები მთლიანი საოპერაციო შემოსავლების 3-5 % წარმოადგენს.

***შენიშვნა 6***

**ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები**

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | (156,112) | (416,985) |
| მივლინების ხარჯები | (18,364) | (1,750) |
| სხვა ხარჯი | (400,534) | (1,098,666) |
| საწვავი | (36,839) | (37,814) |
| ტრანსპორტირების ხარჯი | (1,186) | (27,011) |
| იჯარის ხარჯი | (54,571) | (66,089) |
| კომუნალური ხარჯები | (26,577) | (31,918) |
| კომუნიკაციის ხარჯები | (2,230) | (2,480) |
| დაზღვევის ხარჯი | (7,001) | (3,263) |
| რემონტი | (3,778) | (15,990) |
| საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი | - | (4,271) |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | (437,152) | (521,048) |
| **სულ** | **(1,144,344)** | **(2,227,286)** |

კომპანიამ წინა წელთან შედარებით თითქმის გაანახევრა ადმინისტრაციული ხარჯი.

***შენიშვნა 7***

**სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო**

| | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| საკურსო სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი | **148,135** | **14,835** |
| **სულ** | **148,135** | **14,835** |

საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი წინა წლის მონაცემებს 10-ჯერ აღემატება.

***შენიშვნა 8***

**ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები**

| *ფინანსური ხარჯი* | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი | **-** | **-** |
| საპროცენტო ხარჯი | **(815,830)** | **(900,336)** |
| სხვა ფინანსური ხარჯი | **(51,214)** | **(36,765)** |
| სულ ფინანსური დანახარჯები | **(867,044)** | **(937,101)** |

ფინანსურ შემოსავლებში და ხარჯებში წინა წლის მონაცემებთან შედარებით საგრძნობი სხვაობა არ შეინიშნება. კომპანიის ფინანსური ხარჯის უდიდეს ნაწილს ისევ საპროცენტო ხარჯი წარმოადგენს, ხოლო შემოსავალს სოფლის მეურნეობის თანადაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი.

**ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის დირექტორის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს.

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | | 12/31/2022 | 12/31/2021 | 12/31/2020 |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 1 | 1,774,683 | 2,168,042 | 2,089,392 |
| საინვესტიციო ქონება | | - | - | - |
| ბიოლოგიური აქტივი | | 62,267 | 72,734 | 89,333 |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში | | - | - | - |
| | | **1,836,949** | **2,240,777** | **2,178,725** |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | | | |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 2 | 130,314 | 7,450 | 445,402 |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 3 | 3,240,464 | 3,594,186 | 4,858,719 |
| მარაგები | | 14,736,503 | 12,571,972 | 8,617,139 |
| მისაღები დივიდენდები და პროცენტები | | - | - | - |
| | | **18,107,281** | **16,173,607** | **13,921,260** |
| **მთლიანი აქტივები** | | **19,944,231** | **18,414,384** | **16,099,985** |
| **მთლიანი კაპიტალი** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 1,269,653 | 1,269,653 | 1,269,653 |
| გადაფასების რეზერვი | | - | - | - |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | | 7,916,719 | 4,581,727 | 4,427,487 |
| | | **9,186,371** | **5,851,380** | **5,697,139** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | | |
| გრძელვადიანი სესხები | 4 | 2,353,030 | 5,990,265 | 3,961,040 |
| ანარიცხები | | - | - | - |
| გადავადებული შემოსავალი | | - | - | - |
| | | **2,353,030** | **5,990,265** | **3,961,040** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | | |
| მოკლევადიანი სესხები | 4 | 3,634,421 | 1,370,345 | 2,659,555 |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 6 | 4,688,096 | 5,055,291 | 3,782,251 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | 82,313 | 147,103 | - |
| გადასახდელი პროცენტი | | - | - | - |
| გადასახდელი დივიდენდი | | - | - | - |
| | | **8,404,830** | **6,572,738** | **6,441,806** |
| **მთლიანი ვალდებულებები** | | **10,757,860** | **12,563,004** | **10,402,846** |
| **მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები** | | **19,944,231** | **18,414,384** | **16,099,985** |

## მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | | 2022 | 2021 |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 5 | 7,779,368 | 6,682,488 |
| თვითღირებულება | | (3,330,986) | (4,143,720) |
| **საერთო მოგება** | | **4,448,382** | **2,538,768** |
| სხვა შემოსავლები | 6 | - | - |
| ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი | | (1,144,344) | (2,227,286) |
| მიწოდების დანახარჯები | | (34,944) | (10,447) |
| სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა | | - | - |
| სხვა ხარჯები | | - | - |
| **საოპერაციო მოგება** | | **3,269,094** | **301,035** |
| ფინანსური შემოსავალი | 7 | 932,941 | 790,306 |
| ფინანსური ხარჯი | 7,8 | (867,044) | (937,101) |
| ფინანსური ხარჯი - წმინდა | | **65,898** | **(146,795)** |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **3,334,991** | **154,241** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | - | - |
| **წმინდა მოგება** | | **3,334,991** | **154,241** |
| **სხვა სრული შემოსავალი:** | | | |
| შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით | | - | - |
| **მთლიანი სრული შემოსავალი** | | **3,334,991** | **154,241** |

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ. ᲨᲞᲡ "ᲨᲐᲚᲕᲘᲜᲝ" * GEORGIA "SHALVINO" LLC * 205257773

## ფულადი სახსრებისა და ფულადი ექვივალენტების მოძრაობის ანგარიშგება

| **პერიოდი:** | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| **საოპერაციო საქმიანობა** | | |
| კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები | 9314731.15 | 7628140.59 |
| მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები | (5236662.34) | (7276360.69) |
| დასაქმებულებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები | (423243.52) | (968472.95) |
| სხვა საოპერაციო საქმიანობაზე გადახდილი ფულადი სახსრები | (2622964.59) | (89829.40) |
| **წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | **1031860.70** | **(706522.45)** |

| **საინვესტიციო საქმიანობა** | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (33175.83) | (574158.87) |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | 0.00 | 0.00 |
| მიღებული სახელმწიფო გრანტები | 0.00 | 0.00 |
| მიღებული პროცენტები | 0.00 | 0.00 |
| მიღებული დივიდენდები | 0.00 | 0.00 |
| | 0.00 | 0.00 |
| **წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | **(33175.83)** | **(574158.87)** |

| **საფინანსო საქმიანობა** | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| სესხის აღება/დაფარვა | (1398577.43) | 431755.48 |
| მიღებული სუბსიდიები, დახმარება | 522757.03 | 410973.44 |
| შემოსულობა აქციათა ემისიის შედეგად | 0.00 | 0.00 |
| ფინანსური იჯარის ვალდებულების დაფარვა | 0.00 | 0.00 |
| გადახდილი დივიდენდები | 0.00 | 0.00 |
| **წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან** | **(875820.40)** | **842728.92** |

| | | |
|---|---|---|
| **ფულადი სახსრებისა და ფულადი ექვივალენტების პერიოდის ცვლილება** | **122864.47** | **(437952.40)** |
| **ფულადი სახსრებისა და ფულადი ექვივალენტების პერიოდის დასაწყისში** | **7449.69** | **445402.09** |
| **ფულის და ფულის ექვივალენტების პერიოდის ბოლოს** | **130,314.16** | **7,449.69** |

სააქციო საზოგადოება "შალვინო" * GEORGIA "SHALVINO" LLC * 205257773

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

| | საწესდებო კაპიტალი | გადაფასების რეზერვი | გაუნაწილებელი მოგება | მთლიანი კაპიტალი |
|---|---|---|---|---|
| **2021 წლის 1 იანვარი** | **1,269,653** | **-** | **4,427,487** | **5,697,139** |
| წმინდა მოგება | | | 301,035 | **301,035** |
| სხვა სრული შემოსავალი | | | (146,795) | **(146,795)** |
| პერიოდის სრული შემოსავალი | - | - | 154,241 | **154,241** |
| გაცემული დივიდენდი | - | - | - | **-** |
| **2021 წლის 31 დეკემბერი** | **1,269,653** | **-** | **4,581,727** | **5,851,380** |
| წმინდა მოგება | - | - | 3,269,094 | **3,269,094** |
| სხვა სრული შემოსავალი | - | - | 65,898 | **65,898** |
| პერიოდის სრული შემოსავალი | - | - | 3,334,991 | **3,334,991** |
| გაცემული დივიდენდი | - | - | | **-** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | - | - | - | **-** |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | **1,269,653** | **-** | **7,916,719** | **9,186,371** |

## ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის დირექტორის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„შალვინო“

# მმართველობის ანგარიშგება
# 2022 წელი

თბილისი, 2022 წელი

# საქმიანობის მიმოხილვა

შპს შალვინო (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2008 წლის 25 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ფუნქციონირებს საქართველოში. კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).
კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ., კორ. 1, ბ. 10. კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, გურჯაანი, სოფელი კარდენახი.
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერები არიან ფიზიკური პირები:
შალვა გვარამაძე პ/ნ 01009001054 - 60 %
ლევან გვარამაძე პ/ნ 01009000013 – 40%
წარმომადგენლობითი უფლებით აღჭურვილი პირია დირექტორი დავით ლეგაშვილი პირადი ნომრით 20001018773.

კომპანიას შვილობილი საწარმოები ან/და ფილიალები არ გააჩნია.
კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება 1,269,653 ლარის ოდენობით და 100 ცალი აქციით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ყურძნისგან ღვინის წარმოება და მისი რეალიზაცია ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე. კომპანიის საკუთრებაშია 31 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელზეც გაშენებულია ხიხვის, რქაწითელის, მწვანეს და საფერავის ყურძნის ჯიშები. ვენახები გაშენებულია მდინარე ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე,ზღვის დონიდან 390 მეტრზე.

კომპანია იბარებს ყურძენს როგორც ადგილობრივი ფერმერებისგან, ასევე მთელი საქართველოდან, განსაკუთრებით კი რაჭიდან. კომპანია საქმიანობას ახორციელებს სოფლის მეურნეობის სააგენტოს თანადაფინანსების პირობებში.

კომპანიის საქმიანობის ადგილია გურჯაანის რაიონი, სოფელი კარდენახი, სადაც კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწაზე აშენებულია ღვინის ქარხანა. მის გვერდით მდებარეობს ადმინისტრაციული შენობაც. მიუხედვად იმისა, რომ უკვე რამდენიმე წელია ქარხანა ფუნქციონირებს, მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა და ყოველ წელს ქარხნის ტერიტორია ფართოვდება და სამშენებლო სამუშაოებით უფრო იხვეწება და მიმზიდველი ხდება.

ქარხნის ტერიტორიაზე ასევე განლაგებულია ასოცდაათი  ქვევრი რომლის მთლიანი მოცულობა 220 ტონას შეადგენს. ქვევრში მზადდება და ძველდება უმაღლესი ხარისხის ტრადიციული კახური ქვევრის ღვინო.









კომპანიის საკუთრებაშია 62,267 ლარის ბიოლოგიური აქტივი და თვითღირებულით აღრიცხული 1,774,683 ლარის ძირითადი საშუალება. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ მანქანა-დანადგარები მუდმივად მუშაოებენ და ბევრი მათგანი უკვე მოძველებულია მაღალია მათი საექსპლუატაციო ხარჯი. ხელმძღვანელობა გეგმას უახლოეს მომავალში საწარმოო დანადგარების ეტაპობრივად განახლებას და მოდერნიზებას.

**ძირითადი საშუალებები**

| | მიწის ნაკვეთ ები | შენობები | მანქანა - დანადგ არები | სატრან სპორტ ო საშუა ლებებ ი | ავეჯი და ოფისის აღჭურვი ლობა | სხვა | არამატერ ილაური აქტივები | ჯამი: |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2020** | **109,671** | **867,076** | **473,889** | **48,387** | **69,044** | **519,040** | **2,286** | 2,089,392 |
| შემოსვლა | 0 | 48469.67 | 85220.59 | 18390 | 3450.84 | 427567.97 | 0 | 583,099 |
| გასვლა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| პერიოდის ცვეთა | 0 | 47492.13 | 139854.45 | 12233.51 | 17667.26 | 286725.73 | 475.99 | 504,449 |
| გაუფასურება/აფასება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| **31 დეკემბერი 2021** | **109,671** | **868,054** | **419,255** | **54,543** | **54,828** | **659,882** | **1,810** | 2,168,042 |
| შემოსვლა | 0 | 0 | 18517.35 | 0 | 421.19 | 14237.29 | 0 | 33175.83 |
| გასვლა | 0 | 0 | 0 | 8940.2 | 0 | 0 | 0 | 8940.2 |
| პერიოდის ცვეთა | 0 | 44912.39 | 121788.71 | 5726.52 | 16969.41 | 227730.61 | 467.66 | 417595.3 |
| გაუფასურება/აფასება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | **0** | 0 | 0 |
| **31 დეკემბერი 2022** | **109,671** | **823,141** | **315,983** | **39,877** | **38,280** | **446,389** | **1,342** | **1,774,683** |

კომპანიის მიერ 2022 წელს ძირითადი საშუალებების შეძენები მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინა წლის მონაცემებს. 2022 წელს ძირითადი საშუალებების ცვეთა და გასვლა 13-ჯერ აღემატება შეძენებს.

2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომმა მნიშვნელოვანი გავლება იქონია კომპანიის შემოსავლებზე. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ კომპანიის ძირითადი მომხმარებლები რუსეთის ფედერაციაში არიან, ომის დაწყების შემდეგ მნიშნელოვნად შემცირდა არსებული კლიენტების მოთხოვნა კომპანიის მიერ წარმოებულ ღვინოზე და შესაბამისად იკლო შემოსავლებმაც.

**ამონაგები**

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| საქონლის გაყიდვა | **7,547,787** | **6,342,607** |
| მომსახურების გაწევა | **231,581** | **339,881** |
| **სულ** | **7,779,368** | **6,682,488** |

კომპანიის საქმიანობას პროდუქციის რეალიზაციის გარდა წარმოადგენს ღვინის ჩამოსხმის და ყურძნის გადამუშავების მომსახურება. აღნიშნული შემოსავლები მთლიანი საოპერაციო შემოსავლების 3-5 % წარმოადგენს.

შემოავლების შემცირების პარალელურად კომპანიამ წინა წელთან შედარებით თითქმის გაანახევრა ადმინისტრაციული ხარჯი.

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | (156,112) | (416,985) |
| მივლინების ხარჯები | (18,364) | (1,750) |
| სხვა ხარჯი | (400,534) | (1,098,666) |
| საწვავი | (36,839) | (37,814) |
| ტრანსპორტირების ხარჯი | (1,186) | (27,011) |
| იჯარის ხარჯი | (54,571) | (66,089) |
| კომუნალური ხარჯები | (26,577) | (31,918) |
| კომუნიკაციის ხარჯები | (2,230) | (2,480) |
| დაზღვევის ხარჯი | (7,001) | (3,263) |
| რემონტი | (3,778) | (15,990) |
| საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი | - | (4,271) |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | (437,152) | (521,048) |
| **სულ** | **(1,144,344)** | **(2,227,286)** |

ხელმძღვანელობის აქტიური ჩართულობით 2023 წლის მეორე ნახევარში დაწყო მოლაპარაკებები ახალ კლიენტებთან. ხელმძღვანელობა ვარაუდობს მომდევნო წლებში შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდას.

საზოგადოების ქონების (აქტივების) ზემოთ აღწერილი სპეციფიკური ხასიათისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ასევე გლობალურ ეკონომიკაში განვითარებული მოვლენების საფუძველზე საზოგადოების ხელმძღვანელობამ (სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი) არსებული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით საანგარიშო პერიოდის ბოლოს მიიღო არსებითი გადაწყვეტილებები:

1. მოლაპარაკების წარმოება და ახალი კლიენტების მოძიება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

2. საწარმოო დანადგარების მოდერნიზება და დამატება მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.
3. ქარხნის ტერიტორიაზე დამატებითი შესანახი ფართების მშენებლობა.
4. სავაჭრო და სესხის ვალდებულებების შემცირება.

**საოპერაციო გარემო და რისკები.** საქართველო განთავსებულია რთულ რეგიონში, სადაც ბოლო წლებში ერთმანეთს დაპირისპირებულია მსოფლიოს უდიდეს ქვეყანათა გეოპოლიტიკური ინტერესები. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების მიუხედავად მისი ვალუტა არ არის ბოლომდე თავისუფლად კონვერტირებადი. საქართველოს საგადასახადო, საბაჟო და სააღრიცხვო კანონმდებლობა ასევე ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას და განიცდის ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმართულება საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად ძლიერ არის დამოკიდებული ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ღონისძიებათა ეფექტურობაზე.

შესაბამისად, საზოგადოება და მის მიერ განხორციელებული საქმიანობა ზოგადად ექვემდებარება ფინანსურ რისკებს, მათ შორის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკებს.

ფინანსური რისკის მართვის მთავარი მიზანია დააწესოს რისკის საზღვრები და შემდეგ უზრუნველყოს, რომ რისკის გავლენა მოექცეს ამ საზღვრებში. ოპერაციული და საკანონმდებლო რისკების მართვა გამიზნულია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირება ოპერაციული და საკანონმდებლო რისკის მინიმუმადე შესამცირებლად.

შესაბამისად, ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

საზოგადოების საქმიანობის სპეციფიკურობებიდან გამომდინარე, საანგარიშო და მის წინა პერიოდებში საწარმო განიცდის ფინანსური რისკების უშუალო ზეგავლენას.

**საკრედიტო რისკი.** საანგარიშო პერიოდში საწარმო მართალია არ გასცემს კრედიტებს ან/და სესხებს, თუმცა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში პროდუქციის მიწოდებით წარმოიშვება დებიტორული დავალიანებები (მოთხოვნები) უცხოურ ვალუტაში და შესაბამისად გააჩნია კრედიტთან დაკავშირებული გარკვეული რისკი. ეს არის რისკი,

რომ შესაძლოა პარტნიორმა მხარემ (დებიტორმა) ვერ გადაიხადოს მიღებული პროდუქციის ღირებულების თანხები სრულად, როცა მათი გადახდის დრო მოვა. შესაბამისად, საზოგადოება განსაზღვრავს კრედიტის რისკის დონეების ლიმიტებს რისკთან დაკავშირებულ თანხაზე, რომელიც მიღებულია მყიდველებიგან. ასეთ რისკებთან დაკავშირებული მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება და ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას.

**საბაზრო რისკი.** უახლოეს გასულ და მიმდინარე პერიოდში საწარმოს მუდმივად გააჩნია ბაზართან დაკავშირებული არსებითი რისკები, როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე უცხოურზე. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ კომპანიის შემოსავლის უდიდესი ნაწილი ექსპორტზე გატანილი პროდუქციიდან აქვს, შესაბამისად კომპანიის ხელმძღვალენობის ინტერესის სფეროს წარმოადგენს საგარეო ბაზარზე კონკურენტებთან შედარებით მეტი კლიენტის მოზიდვა და არსებულის შენარჩუნება.

**სავალუტო რისკი**

გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ კომპანიის შემოსავლები უცხოურ ვალუტაშია, ხოლო ხარჯი ძირითადად ეროვნულ ვალუტაში კურსით ცვლილებით გამოწვეული ეფექტი მნიშვნელოვნად აისახა კომპანიის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| საკურსო სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი | 148,135 | 14,835 |
| სულ | 148,135 | 14,835 |

საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი წინა წლის მონაცემებს 10-ჯერ აღემატება.

**ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები.** ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ საწარმომ შესაძლოა განიცადოს სირთულეები სახსრების მოპოვებაში მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისას, ასევე, ლიკვიდურობის რისკს ადგილი აქვს, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებს შორის აღინიშნება რაიმე სხვაობა. საწარმო ინარჩუნებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველყოფით, რომ ფონდები იქნება ხელმისაწვდომი ყველა პერიოდში, რათა

მოხდეს შესაბამისი ვალდებულების შესრულება ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით, როდესაც დგება გადახდის მომენტი.

საზოგადოების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებით (ფულადი სახსრების და ექვივალენტების ნაშთის სტაბილური ზრდა და მიმდინარე ვალდებულებების შედარებით მცირე ნაშთები) ნათლად ჩანს, რომ საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები ფაქტიურად არ გააჩნია.

შპს სახელით:

დირექტორი

თარიღი: 21.12.2023

ხელმისაწვდომი ყველა პერიოდში, რათა მოხდეს შესაბამისი ვალდებულების შესრულება ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით, როდესაც დგება გადახდის მომენტი. საზოგადოების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებით (ფულადი სახსრების და ექვივალენტების ნაშთის სტაბილური ზრდა და მიმდინარე ვალდებულებების შედარებით მცირე ნაშთები) ნათლად ჩანს, რომ საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები ფაქტიურად არ გააჩნია.

შპს სახელით:

დირექტორი

თარიღი: 21.12.2023

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „შალვინოს“

დამფუძნებლებს

### დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

**უარი მოსაზრების გამოთქმაზე**

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „შალვინოს“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას „შპს შალვინოს“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

**მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი**

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დაგვნიშნეს 2023 წლის ივლისში და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2022 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. მარაგის სააღრიცხვო სისტემის გაანალიზებით აღმოჩნდა, რომ კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია, მისი გადამუშავების სხვადასხვა ეტაპებზე არ მოიცავდა ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ იყო დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ჩვენ მიერ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შედგენის თარიღისთვის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ აგრძელებდა პროდუქციის გადამუშავების დანახარჯების აღრიცხვაში არსებული ხარვეზის გამოსწორებას, მარაგის ნაშთისა და გაყიდვების თვითღირებულების დასაზუსტებლად. ამიტომ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის და ღირებულების სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 12.571.972 და 14.736.503 ლარის ოდენობით, შესაბამისად. აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ელემენტებში.

**სხვა გარემოებები**

შპს „შალვინოს“ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსურ ანგარიშ-გებაზე ჩვენი მოსაზრება გამოვთქვით 2023 წლის 29 სექტემბერს გამოცემულ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში. დასკვნის თარიღისათვის შპს „შალვინოს“ მმართველობითი ანგარიშგება არ ჰქონდა წარმოდგენილი. წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მომზადდა შპს „შალვინოს“ ხელმძღვანელობის მიერ მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენის შედეგად. აღნიშნულ გარემოებას გავლენა არ მოუხდენია 2023 წლის 29 სექტემბერს გამოცემულ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე.

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „შალვინოს“ ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ შპს „შალვინოს“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“-ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს შალვინოსგან იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

**მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

კანონის მიხედვით **შპს „შალვინოს“** ვალდებულია წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვის სახით.

ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ მოსაზრება კანონით განსაზღვრული საქმიანობის ანგარიშის მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვდენილობის თაობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ უარი ვთქვით შპს „შალვინოს“ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმაზე, უარის საფუძვლის ამსახველ აბზაცში მოტანილი გარემოებებიდან გამომდინარე, ჩვენი ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია თუ არა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან და საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან.

აუდიტორი

თ. ცუხიშვილი
2023 წლის 24 დეკემბერი

თბილისი,

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ უარი ვთქვით შპს „შალვინოს“ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმაზე, უარის საფუძვლის ამსახველ აბზაცში მოტანილი გარემოებებიდან გამომდინარე, ჩვენი ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია თუ არა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან და საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან.

აუდიტორი

თ. ცუხიშვილი
2023 წლის 24 დეკემბერი

თ. ცუხიშვილი

თბილისი,